პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა სუბიექტისგან სანქციებისა მიღების შესახებ



სახელმძღვანელო რეკომენდაცია ემსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას. ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

შინაარსი

შესავალი 3

1. მონაცემთა სუბიექტის წერილობითი და ზეპირი თანხმობის განმარტება 4

2. თანხმობის მოთხოვნის საშუალებები 5

3. თანხმობა, როგორც მონაცემთა დამუშავების საფუძველი 6

4. თანხმობის ნამდვილობა და მისი ძირითადი კრიტერიუმები 6

4.1. ნებაყოფლობით და თავისუფლად გაცემული თანხმობა 6

4.2. კონკრეტული თანხმობა 7

4.3. ინფორმირებული თანხმობა 9

4.4. მონაცემთა სუბიექტის მიერ მკაფიოდ გამოხატული ნება 9

5. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის ძალთა ბალანსი 9

6. თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე 11

7. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები 15

7.1. არასრულწლოვანის ასაკის დადასტურება 15

8. თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე 16

9. თანხმობა, ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები 19

10. თანხმობის გამოხმობის უფლება 20

11. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღების და მის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევებში 21

11.1. თანხმობის გამოხმობის სამართლებრივი შედეგები 21

12. რეკომენდაციები 23

როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ფორმა? 23

რა ინფორმაცია უნდა შეინახოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა? 23

ინფორმაცია, რომელიც უნდა მიეწოდოს მონაცემთა სუბიექტს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვებამდე: 24

შაბლონი თანხმობის ნამდვილობის შესამოწმებლად 25

შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ევროპის კავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”)[1] მსგავსად, მონაცემთა სუბიექტის მიერ მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობის გაცემის სპეციალურ წესებს ითვალისწინებს.[2] მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და, ასევე, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები კანონით განსაზღვრულ ცალკეულ შემთხვევებში ვალდებული არიან პერსონალურ მონაცემთა დამუშავებამდე მონაცემთა სუბიექტისგან მოიპოვონ თანხმობა, რასთან დაკავშირებითაც მტკიცების ტვირთი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს ეკისრებათ.

სახელმძღვანელო რეკომენდაციის მიზანია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მიღების სტანდარტის, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის დაკისრებული მოვალეობების არსისა და ფარგლების განმარტება.

დოკუმენტში განხილულია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის სტანდარტთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: თანხმობის განმარტება; თანხმობა, როგორც მონაცემთა დამუშავების საფუძველი; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება; არასრულწლოვანის მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები; პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებისას თანხმობის სავალდებულოობა; ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებამდე თანხმობის გაცემის აუცილებლობა; თანხმობის გამოხმობის უფლება; დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ვალდებულებები; მონაცემთა საერთაშორისო გადაცემაზე თანხმობის მოპოვება.

რეკომენდაცია მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (14/06/2023; №3144-XIმს-Xმპ) ნორმატიული შინაარსის, „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) სახელმძღვანელო

[1] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016.

[2] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაცია „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების“ შესახებ.

რეკომენდაციებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული საზედამხედველო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

1. მონაცემთა სუბიექტის წერილობითი და ზეპირი თანხმობის განმარტება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განმარტებულია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ცნება, რომლის მიხედვით, თანხმობა გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატულ ნებას.

მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ზეპირი ფორმით გამოხატვა დასაშვებია, თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ აღნიშნული ფორმით მიღებული თანხმობის დოკუმენტურად ასახვის საკითხი. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაასაბუთოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობა.

დამატებით, მონაცემთა სუბიექტმა თანხმობა შესაძლოა გამოხატოს წერილობითი ფორმით, მაგალითად, ხელმოწერით ან სხვაგვარად (მათ შორის, ელექტრონულად), მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ.

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მოთხოვნების მიხედვით, როდესაც მონაცემთა სუბიექტი თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობას გამოხატავს წერილობით დოკუმენტში, რომელიც სხვა საკითხებსაც არეგულირებს, თანხმობასთან დაკავშირებული ტექსტი უნდა იყოს წარმოდგენილი იმგვარად, რომ ნათლად გამოირჩეოდეს სხვა საკითხებისაგან, იყოს გასაგები და მარტივი ენით დაწერილი.[3]

[3] GDPR, Article 7(2).

2. თანხმობის მოთხოვნის საშუალებები

თანხმობის მისაღებად მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა შესაძლოა შეიმუშაონ მათთვის ხელსაყრელი მეთოდი მონაცემთა სუბიექტისაგან „ნამდვილი“ და „თავისუფალი“ თანხმობის მიღების სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ სტანდარტში მოიაზრება მონაცემთა სუბიექტების მხრიდან თანხმობის აქტიური მოქმედებით გამოხატვა ერთ-ერთი საშუალებით:

- ბეჭდურად არსებული თანხმობის ფორმის ხელმოწერა;
- ელექტრონულად ან ბეჭდურად არსებულ დოკუმენტზე თანხმობის ამსახველი სიმბოლოს აღნიშვნა;[4]
- ინტერნეტში თანხმობის შესაბამის ღილაკზე ან ბმულზე „გადასვლა“
- „დიახ/არა“ ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევა (საგულისხმოა, რომ ორივე ვარიანტი თანაბრად უნდა იყოს წარმოჩენილი და არ უბიძგებდეს მონაცემთა სუბიექტს რომელიმე ერთ-ერთი არჩევანის გაკეთებისაკენ);
- ტექნიკური პარამეტრების არჩევა;
- თანხმობის შესახებ მეილზე პასუხის გაცემა;
- ზეპირი ფორმით დათანხმება ან უარის თქმა მონაცემთა დამუშავებაზე;
- ზოგიერთ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტმა შეიძლება თავად, მოხალისეობრივი ფორმით, მიაწოდოს ინფორმაცია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, მაგალითად, რომელიმე კომპანიას ვებგვერდზე განთავსებულ საკომუნიკაციო სივრცეში ნებაყოფლობით გაუგზავნოს ან აუტვირთოს სავიზიტო ბარათი ტექსტურ შეტყობინებასთან ერთად, რათა კომპანია დაუკავშირდეს.

[4] გაერთიანებული სამეფოს (“ICO”) მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს სახელმძღვანელო რეკომენდაცია თანხმობის მიღების შესახებ, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/lawful-basis/consent/how-should-we-obtain-record-and-manage-consent/#:~:text=You%20keep%20records%20that%20include,exactly%20what%20the%20consent%20covers>, [04.10.2024].

3. თანხმობა, როგორც მონაცემთა დამუშავების საფუძველი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი საფუძველი, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მონაცემთა დამუშავების შესახებ. ამდენად, თუ მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია.[5] უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტი თანხმობის არ აცხადებს მისი მონაცემების დამუშავებაზე, გარდა პირდაპირი მარკეტინგისა, საჭიროა პასუხისმგებელ/უფლებამოსილ პირებს დამუშავების სხვა საფუძველი გააჩნდეთ.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაასაბუთოს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, მონაცემთა სუბიექტისაგან თანხმობის მიღების შესახებ მტკიცების ტვირთი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება.

4. თანხმობის ნამდვილობა და მისი ძირითადი კრიტერიუმები

იმისათვის, რომ თანხმობა მიჩნეულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის მიერ ნების თავისუფალ გამოხატულებად (ნამდვილ თანხმობად), უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი კრიტერიუმები: აქტიური მოქმედებით გამოხატული ნება, თანხმობის ნებაყოფლობითობა, თავისუფლება, მკაფიოობა, კონკრეტულობა და ინფორმირებულობა.

4.1. ნებაყოფლობით და თავისუფლად გაცემული თანხმობა

მონაცემთა სუბიექტის „ნებაყოფლობითი“ და „თავისუფალი“ თანხმობა მის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე გულისხმობს ფიზიკური პირისთვის შესაძლებლობის მიცემას, დათანხმდეს ან უარი განაცხადოს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკურ პირებს, ერთი მხრივ, უნდა შეეძლოთ თანხმობაზე უარის თქმა მათთვის ზიანის მიყენების გარეშე, ხოლო, მეორე მხრივ, თანხმობის მარტივად გამოხატვა ნებისმიერ დროს.

თანხმობის ნებაყოფლობითი გამოხატვა უნდა განხორციელდეს იძულების გარეშე, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტი არ უნდა იყოს იძულებული, გასცეს თანხმობა. ამასთან, პირს, რომელიც აცხადებს თანხმობას, უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თანხმობაზე უარის თქმის უფლების შესახებ. ეს ინფორმაცია პირს უნდა მიეწოდოს გასაგები ფორმით.

[5] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (1) (ა).

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებით.[6] თუ პირმა გასცა თანხმობა და შემდეგ აღარ ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა გაცემულ თანხმობაზე მისთვის ნეგატიური შედეგების გარეშე, თანხმობა ვერ იქნება ნებაყოფლობითი. თანხმობის ნებაყოფლობითობის დადგენისას გასათვალისწინებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის თანასწორი ურთიერთობის საკითხი.

<u>მაგალითი:</u>

აპლიკაცია მომხმარებლებს ფოტოების დამუშავების ფუნქციას სთავაზობს. იმისათვის, რომ მომხმარებლებმა შეძლონ აპლიკაციის მომსახურებით სარგებლობა (ფოტოების რედაქტირება), აპლიკაცია ითხოვს პარამეტრებში გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფუნქციის გააქტიურებას.[7] აპლიკაცია მომხმარებლებს ატყობინებს, რომ შეგროვებულ მონაცემებს მარკეტინგის მიზნებისათვის დაამუშავებს.

ფოტოების რედაქტირების მომსახურების გაწევის მიზნებისათვის არ არის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ და მარკეტინგისთვის. თუ მომხმარებლები თანხმობას არ განაცხადებენ განსაზღვრული მიზნებით თავიანთი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, აპლიკაციით სარგებლობას ვერ შეძლებენ.

4.2. კონკრეტული თანხმობა

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს ნათლად და გასაგებად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნის თაობაზე. შესაძლოა მონაცემთა სუბიექტისგან ხელმეორედ იქნეს მოპოვებული თანხმობა, თუკი საჭირო გახდება დამუშავების ოპერაციების დამატება ან შეცვლა, რომლის განჭვრეტა, გონივრულობის ფარგლებში, შეუძლებელი იქნებოდა თავდაპირველი თანხმობის მოპოვებისას. ამასთან, როდესაც მონაცემთა დამუშავება რამდენიმე მიზანს

[6] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაცია „ არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა - თეორია და პრაქტიკა“, <https://shorturl.at/1IODm> [15.10.2024].

[7] მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს (“EDPB”) სახელმძღვანელო რეკომენდაცია თანხმობის შესახებ, <https://www.edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [15.10.2024].

ემსახურება, თანხმობა უნდა გაიცეს ინდივიდუალურად, თითოეულ მიზანთან მიმართებით.

იმისათვის, რომ თანხმობა იყოს ნამდვილი, მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა/სახელწოდება“
- რა მიზნით გროვდება კონკრეტული პერსონალური ინფორმაცია;
- რა სახით მუშავდება პერსონალური მონაცემები;
- ნებისმიერ დროს თანხმობის გამოხმობის შესაძლებლობის შესახებ. კარგ პრაქტიკას წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, მათ შორის, იმის შესახებ, თუ როგორ და რა ფორმით შეუძლია მას გაცხადებული თანხმობის გამოხმობა.

<u>მაგალითი:</u>

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა მოითხოვა, თუმცა ადრესატთა მხოლოდ 10%-ისგან მიიღო დადებითი პასუხი. მონაცემთა სუბიექტების აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარი მონაცემების დამუშავება არ სურდა.

პასუხისმგებელმა პირმა, თანხმობის მოტყუებით მოპოვების მიზნით, შეცდომაში შემყვანი შაბლონები შეიმუშავა, ვინაიდან, კომპანიის ადვოკატის განცხადებით, მსგავს საქმიანობას მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა პირდაპირ არ კრძალავდა. დამაბნეველი მექანიზმის დანერგვის შედეგად, პასუხისმგებელმა პირმა თანხმობების კოეფიციენტი 90%-ამდე გაზარდა.

მოცემულ შემთხვევაში დაირღვა სამართლიანობის პრინციპი, რადგან თანხმობა მოპოვებულ იქნა მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის გზით და დაირღვა თანხმობის ნამდვილობა.[8]

[8] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაცია „ არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა- თეორია და პრაქტიკა“, <https://shorturl.at/1IODm> [15.10.2024].

4.3. ინფორმირებული თანხმობა

მონაცემთა სუბიექტისთვის ცნობილი უნდა იყოს სულ მცირე მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და მონაცემთა დამუშავების მიზანი. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებისა და შედეგების გაცნობას, გააზრებას, რაც შესაძლოა მონაცემთა დამუშავებას მოჰყვეს. შესაბამისად, მას მკაფიო და გასაგები ფორმით უნდა მიეწოდოს ზუსტი და სრული ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არასრულწლოვანის ინფორმირებისას მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული ბავშვის განვითარების დონე.

ინფორმირებული თანხმობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხმობა იქნება არალეგიტიმური და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი დაარღვევს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესახებ კანონის მეოთხე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.[9]

4.4. მონაცემთა სუბიექტის მიერ მკაფიოდ გამოხატული ნება

მონაცემთა სუბიექტის თანხმობა უნდა იყოს მკაფიო,[10] კერძოდ, გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სურდა პირს გამოეხატა თანხმობა საკუთარი მონაცემების დამუშავებაზე. მონაცემთა სუბიექტის მხრიდან უმოქმედობა არ უნდა იქნეს მიჩნეული თანხმობის გამოხატვად.

5. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის ძალთა ბალანსი

მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ნამდვილობის განსასაზღვრად საყურადღებოა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის ძალთა ბალანსის საკითხი. მაგალითად, საჯარო სტრუქტურასა და მონაცემთა სუბიექტს შორის ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, საჯარო

[9] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 4.

[10] მკაფიოობის კრიტერიუმი ასახულია “GDPR”-ის პრეამბულის 32-ე პუნქტში, რომლის შესაბამისადაც მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა უნდა გაიცეს ნათლად გამოხატული მოქმედებით.

დაწესებულებებმა მონაცემთა სუბიექტის თანხმობას შესაძლოა ხშირ შემთხვევაში ვერ დააფუძნონ მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, მონაცემთა დამუშავების საფუძვლად, უმრავლეს შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებები ვერ დაეყრდნობიან მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთა შორის ძალთა ბალანსის გათვალისწინებით.

<u>მაგალითი 1:</u>

ადგილობრივი მთავრობა გეგმავს ინფრასტრუქტურული განახლების სამუშაოებს.[11] ვინაიდან აღნიშნული სამუშაოები დიდი ხნით შეაფერხებს სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას, მუნიციპალიტეტი მოქალაქეებს სთავაზობს, დარეგისტრირდნენ და ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიიღონ განახლებული ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობისა და მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ. ადგილობრივმა მთავრობამ მოქალაქეებთან კომუნიკაციისას ხაზი უნდა გაუსვას, რომ სავალდებულო არ არის წინამდებარე სიახლეების გამოწერა და თანხმობა მოთხოვნილია ელექტრონული ფოსტის მისამართების დამუშავებაზე მხოლოდ წინამდებარე მიზნებით (კონკრეტულ საკითხზე ინფორმაციის მიწოდება). მოქალაქეებს, რომლებიც უარს იტყვიან სიახლეების გამოწერაზე და არ განაცხადებენ თანხმობას მონაცემთა (ელექტრონული ფოსტის მისამართები) დამუშავებაზე, არ უნდა შეეზღუდოთ უფლებების განხორციელება ან მომსახურებებზე წვდომა, რომელთაც ადგილობრივი მთავრობა სთავაზობს მათ. მონაცემთა სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მათთვის ნეგატიური შედეგების გარეშე განაცხადონ უარი თანხმობაზე. ყველა ინფორმაცია საგზაო სამუშაოების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ასევე, სხვა ფორმით (გარდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით ინფორმაციის გამოწერისა), მაგალითად, ადგილობრივი მთავრობის ვებგვერდზე.

[11] მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს (“EDPB”) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო თანხმობის შესახებ (05/2020) <https://www.edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [14.10.2024].

მაგალითი 2:

უნივერსიტეტი სტუდენტებს სასწავლო დაწესებულების გაზეთში მათი ფოტოსურათების გამოქვეყნებაზე თანხმობას სთხოვს. სტუდენტთა არჩევანი თანხმობის საკითხზე ნამდვილი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მათ თანხმობაზე უარის შემთხვევაში არ შეეზღუდებათ განათლების მიღების შესაძლებლობა ან სხვა, მასთან დაკავშირებული მომსახურება.

მაგალითი 3:

ოფისის გარკვეულ ნაწილში სამსახურის დაკვეთით მიმდინარეობს ფოტო-[12] და ვიდეოგადაღებები, რომლებშიც შესაძლოა დაფიქსირდნენ ამავე კომპანიის სხვა თანამშრომლები, რომელთა სამუშაო მაგიდები გადაღებების სივრცეში ექცევა. ამ პირებისგან დამსაქმებელმა უნდა მოიპოვოს თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, არ უნდა მიადგეთ ნეგატიური შედეგი. კერძოდ, სამსახურმა უნდა გამოყოს განცალკევებული სივრცე, სადაც პირები, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების გარეშე, შეძლებენ მუშაობას.

6. თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისას სიფრთხილის გამოჩენის ვალდებულება ეკისრებათ.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს გააჩნიათ უფლებამოსილება, დაამუშაონ მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი

[12] მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს (“EDPB”) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო რეკომენდაცია თანხმობის შესახებ (05/2020), <https://www.edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [10.10.2024].

თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის კანონით გათვალისწინებული გარანტიები და არსებობს კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი საფუძველი. [13]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაასაბუთოს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ ეკისრება მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მოპოვების ვალდებულება, თუ ჩამოთვლილთაგან სახეზეა რომელიმე გარემოება:

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ იგი აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, განაცხადოს თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური მზრუნველობის, მომსახურების, სამედიცინო მოწყობილობების და პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის მიზნებით;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება საჭიროა დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და

[13] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი 6 (1) (ა).

პრობაციის, დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის განთავსების უზრუნველყოფის, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთაშორისო დაცვის განხორციელების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების, სამოქალაქო და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან/და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისთვის;

- თუ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;

- თუ მონაცემთა სუბიექტმა გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადა თავისი მონაცემები;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

- თუ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, პროფესიული გაერთიანების, რელიგიური ან არარელიგიური ფილოსოფიური რწმენის ორგანიზაციის მიერ იმავე საქმიანობის მიზნებისთვის;[14]

- თუ, კანონის შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესებისთვის არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის, თუ კანონი ითვალისწინებს სათანადო და კონკრეტული ღონისძიებების

[14] ამ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის მოქმედ ან ყოფილ წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან მისი მიზნებიდან გამომდინარე, იმ პირობით, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე აღნიშნული მონაცემების მესამე პირისთვის გაცემა არ მოხდება.

განხორციელებას მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;[15]

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირების მიზნით;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებით;[16]

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, აგრეთვე – არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის მიზნით;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის ან გამოქვეყნების მიზნით;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება უწყებათაშორისი კოორდინაციის ინსტიტუციური მექანიზმის ფუნქციონირებისთვის – ბავშვის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან უსაფრთხოებისთვის ან/და ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის ან მისი უფლებისთვის მიყენებული ზიანის ან

[15] განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების ეს საფუძველი არ გამოიყენება, თუკი სპეციალური კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია ამ მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა დამატებითი და განსხვავებული პირობებით.

[16] იგულისხმება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის განხილვა.

მოსალოდნელი რისკების შემცველი შემთხვევის გამოვლენის ან/და მართვის მიზნებისთვის და ამ მიზნების ფარგლებში.[17]

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში

7. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები

არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.[18] დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გაითვალისწინოს და დაიცვას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები.[19] ამასთანავე, იგი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს, განსაკუთრებით თუკი მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანია, მიაწოდოს ინფორმაცია მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე.[20]

7.1. არასრულწლოვანის ასაკის დადასტურება

არასრულწლოვანის ასაკის დადგენა მნიშვნელოვანია, ვინაიდან უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად შეუძლია ბავშვს, განჭვრიტოს პერსონალური მონაცემების დამუშავების პოტენციური შედეგები და გაიაზროს რასთან დაკავშირებით აცხადებს თანხმობას. ასაკის დადასტურების კონტექსტში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მიზნის შეზღუდვისა და მონაცემთა შენახვის ვადის შეზღუდვის პრინციპები, კერძოდ, შეგროვებული პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ ასაკის დადასტურებისთვის და ორგანიზაციამ სხვა მიზნებისთვის არ უნდა გამოიყენოს.[21]

---

[17] საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ კომპეტენტურ ორგანოებს (უწყებებს) შორის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, ბავშვის უფლებათა კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 84-ე მუხლის 21 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

[18] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

[19] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაცია „არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვ- თეორია და პრაქტიკა“.

[20] იქვე, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[21] ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს რეკომენდაცია - „მონაცემთა დამუშავების პროცესში ბავშვებზე მორგებული მიდგომები“, 2021 წლის დეკემბრის გამოცემა, გვ. 48, [27.09.2024].

კანონის მე-7 მუხლი აწესრიგებს არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესსა და პირობებს. კერძოდ, 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს შეუძლია განაცხადოს თანხმობა თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შემთხვევაში საჭიროა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს გონივრული და ადეკვატური ზომა 16 წლამდე არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის დასადასტურებლად.

<u>რეკომენდაცია:</u>

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეიმუშაოს მარტივი დოკუმენტი, რომელსაც გამოიყენებენ მშობლები და ბავშვები. ამასთან, აღნიშნული იქნება ერთგვარი საშუალება მშობლებისთვის, რომ მიაწოდონ ბავშვებს სრულყოფილი ინფორმაცია მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

არასრულწლოვანის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე

პირდაპირი მარკეტინგის მიზნებით მონაცემთა დამუშავებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, დაამუშაონ პერსონალური მონაცემები მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე. როდესაც მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებით ხორციელდება, იმის მიუხედავად, თუ რა გზით შეაგროვა მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, მას აქვს ვალდებულება, მონაცემთა სუბიექტისაგან მოიპოვოს თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

მონაცემთა სუბიექტის სახელის, გვარის, მისამართის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით სხვა მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა.

მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღებამდე და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა სუბიექტს ნათლად, მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განუმარტოს მის მიერ თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის უფლება და ამ უფლების განხორციელების წესი.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებაა, შეწყვიტოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა. ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს ეკისრება მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობა ჰქონდეს, მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რომლითაც პირდაპირი მარკეტინგი ხორციელდება, ან განსაზღვროს სხვა ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის.

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის გათვალისწინებული საშუალება მარტივი უნდა იყოს. ამასთანავე, მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეცეს მკაფიო და ადვილად აღსაქმელი მითითება ამ საშუალების გამოყენების შესახებ. დაუშვებელია, მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის უფლების განსახორციელებლად დაწესებულ იქნეს საფასური ან სხვა შეზღუდვა.

პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობის, უარის თქმის საშუალების სიმარტივის, მისი გამოყენების შესახებ მითითების ადვილად აღქმადობის, ხელმისაწვდომობისა და ადეკვატურობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს.

მაგალითი:

საავადმყოფო სამეცნიერო კვლევით პროგრამას ახორციელებს, სახელწოდებით პროექტი „X“, რომლისთვისაც საჭიროა პაციენტების სამედიცინო ინფორმაცია დენტალური (კბილების) ჯანმრთელობის შესახებ. კლინიკა კვლევებში პაციენტების ჩასართავად ტელეფონის საშუალებით უკავშირდება პირებს, რომლებმაც მოხალისეობრივად განაცხადეს თანხმობა, პროექტში ჩართვის მიზნით საავადმყოფოდან დაკავშირებოდნენ სატელეფონო ზარით.

ამ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტებისაგან ითხოვს თანხმობას განსაკუთრებული კატეგორიის (სამედიცინო) ინფორმაციის დამუშავებაზე. მონაცემთა სუბიექტების მიერ სატელეფონო ზარის საშუალებით ზეპირად გაცემული თანხმობა იწერება. ჩანაწერში მონაცემთა სუბიექტები ნათლად განაცხადებენ თანხმობას პროექტში მონაწილეობაზე.[22]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს აქვს ვალდებულება, მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემისა და თანხმობის გამოხმობის დრო და ფაქტი აღრიცხოს და შეინახოს პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში.

მაგალითი:

სპორტდარბაზი კლუბის წევრებისათვის ამზადებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადონ ზაფხულის არდადეგებისათვის. ინფორმაცია აერთიანებს ჯანსაღად კვებისა და სპორტულად ცხოვრების შესახებ რეკომენდაციებს. კლუბის

[22] “EDPB”, სახელმძღვანელო რეკომენდაცია თანხმობის შესახებ, 05/2020 on consent under Regulation 2016/679 <https://www.edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [14.10.2024]

წევრებს ინფორმაციაზე წვდომა შეუძლიათ ელექტრონული ფოსტით წერილების გამოწერის გზით.

გამოწერაზე დათანხმებით, გამომდინარე ინფორმაციის თემატიკიდან („მზადება ზაფხულისთვის“), გამომწერებს ექნებათ მოლოდინი, რომ გამოწერა განსაზღვრულია კონკრეტული ვადით, გარკვეული დროის მონაკვეთისთვის და წერილების მიღება შეწყდება ზაფხულის დასასრულთან ერთად. აქედან გამომდინარე, წერილების მიღების მიზნით გაცემული თანხმობა არ არის მუდმივი ხასიათის.

9. თანხმობა, ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები

კანონის მე-19 მუხლი აწესრიგებს საკითხებს ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს.

<u>მაგალითი:</u>

მონაცემთა სუბიექტი იყენებს ონლაინ ბანკის ფუნქციას, რომელშიც შესაძლებელია პირადი მონაცემების მითითება, რომლის საფუძველზე ბანკის ალგორითმი იღებს გადაწყვეტილებას ბანკის მიერ სესხის გაცემისა და იმის თაობაზე, თუ რა საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს ბანკი მომხმარებელს.

მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ალგორითმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე და მოითხოვოს მისი გადახედვა კერძო პირის მიერ.

კანონი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მონაცემთა სუბიექტი ვალდებულია, დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგალითად, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას ან აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებისთვის

პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად.

10. თანხმობის გამოხმობის უფლება

მონაცემთა სუბიექტების თანხმობის გამოხმობის უფლება გარანტირებულია კანონის მე-20 მუხლით. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე, გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა. მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

<u>მაგალითი:</u>

ორგანიზაცია მუსიკალური ფესტივალის გამართვის მიზნით ინტერნეტით ყიდის ბილეთებს აგენტის მეშვეობით. ყოველი ბილეთის გაყიდვისას მოთხოვნილია თანხმობა, რათა მონაცემები გამოყენებულ იქნეს მარკეტინგული მიზნებისთვის. თანხმობის გამოსახატად მომხმარებლებს შეუძლიათ აღნიშნონ „დიახ“ ან „არა.“ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი აწვდის ინფორმაციას მონაცემთა სუბიექტებს, რომ მათ შეუძლიათ გაიხმონ თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე. თანხმობის უკან გახმობის მიზნით, მონაცემთა სუბიექტებს შეუძლიათ დარეკონ უფასო ცხელ ხაზზე სამუშაო დღეებში, დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ამ შემთხვევაში დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის საქმიანობა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მოთხოვნებს ვერ პასუხობს[23]. კერძოდ, თანხმობის გამოსახმობად საჭიროა სამუშაო საათებში დარეკვა მითითებულ ნომერზე, რაც გაცილებით უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ერთ ღილაკზე დაჭერა, რომელიც მომხმარებელმა თანხმობის გამოსახატად გამოიყენა. საყურადღებოა, რომ

[23] Article 7(3) of the GDPR.

თანხმობის გაცემა შესაძლებელია მუდმივად, კვირის ნებისმიერ დღეს და დღის და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

თანხმობის გამოხმობა მონაცემთა სუბიექტისათვის არ უნდა იყოს უფრო შრომატევადი, ვიდრე დათანხმება მონაცემთა დამუშავებაზე.

11. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღების და მის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევებში

კანონის 32-ე მუხლი განსაზღვრავს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებებს მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღების და მის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევებში. თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის მიღებას გეგმავს დოკუმენტით, რომელიც სხვა საკითხებსაც შეეხება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ დოკუმენტში თანხმობის შესახებ ტექსტი ჩამოაყალიბოს მკაფიო, მარტივი და გასაგები ენით და გამოყოს იგი დოკუმენტის სხვა ნაწილებისგან. როდესაც მონაცემთა სუბიექტის თანხმობა გაცემულია ხელშეკრულების ან მომსახურების ფარგლებში, თანხმობის ნებაყოფლობითობის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, უნდა შეფასდეს, თუ რამდენად არის თანხმობა ხელშეკრულების ან მომსახურების აუცილებელი წინაპირობა და თუ შეიძლება ამ თანხმობის გარეშე შესაბამისი მომსახურების მიღება/ხელშეკრულების დადება.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს თანხმობის გამოხმობის უსასყიდლო, მარტივი და ხელმისაწვდომი მექანიზმი, მათ შორის, უზრუნველყოს თანხმობის გამოხმობის შესაძლებლობა იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა გაიცა. ამასთან, მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღებამდე დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მის მიერ თანხმობის გამოხმობის უფლების შესახებ.

11.1. თანხმობის გამოხმობის სამართლებრივი შედეგები

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება და დამუშავებული მონაცემები წაშალოს ან გაანადგუროს, თუ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის

დადგენილი. მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე ან იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემთა სუბიექტისთვის წარმოშობს სამართლებრივ, ფინანსურ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შედეგების შესახებ.

მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი. დაუშვებელია, დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა თავისი უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.[24] დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის თანხმობა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს არ ათავისუფლებს შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან.

[24] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 36-ე მუხლი.

12. რეკომენდაციები

როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ფორმა?

- თანხმობის მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს სხვა წესებისა და პირობებისაგან განცალკევებით, რათა მონაცემთა სუბიექტის ყურადღება მარტივად მიიქციოს;
- მონაცემთა დამუშავების შესახებ მოთხოვნა უნდა იქნეს შედგენილი გასაგები ენით;
- თანხმობის მოთხოვნის ფორმა უნდა იქნეს მორგებული სამიზნე აუდიტორიაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადრესატები არასრულწლოვნები არიან. მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ბავშვის ასაკი;
- თანხმობის ფორმაში არ უნდა იქნეს გამოყენებული ბუნდოვანი და ორაზროვანი ტერმინები.

რა ინფორმაცია უნდა შეინახოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა?

- **ვინ დაეთანხმა მონაცემთა დამუშავებას:**[25] მონაცემთა სუბიექტის სახელი და საიდენტიფიკაციო მონაცემი (მაგალითად, ონლაინ მომხმარებლის სახელი);
- **თანხმობის მიღების თარიღი:** დათარიღებული დოკუმენტის ასლი, ონლაინ დოკუმენტი, რომელშიც ასახულია თანხმობის გაცემის თარიღი. ზეპირი თანხმობის შემთხვევაში უნდა აღირიცხოს თანხმობის გაცემის დრო და თარიღი;
- **რა ინფორმაცია მიეწოდა მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცხადებამდე:** თანხმობის მისაღებად მონაცემთა სუბიექტისათვის მიწოდებული დოკუმენტის ასლი, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს მონაცემთა უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია. თუ თანხმობა ზეპირი ფორმით გაიცა, დოკუმენტი, რომელშიც ასახულია, თუ რა ინფორმაცია მიეწოდა მონაცემთა სუბიექტს ზეპირსიტყვიერად;
- **თანხმობის გამოხმობის შემთხვევა:** თუკი მონაცემთა სუბიექტმა თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემული თანხმობა გამოიხმო,

[25] გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს რეკომენდაცია თანხმობის მიღების და დოკუმენტებში ასახვის შესახებ, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/lawful-basis/consent/how-should-we-obtain-record-and-manage-consent/#:~:text=You%20keep%20records%20that%20include,exactly%20what%20the%20consent%20covers.> [04.10.2024].

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა აღრიცხოს თანხმობის გამოხმობის ფაქტი და მიუთითოს შესაბამისი დრო.

ინფორმაცია, რომელიც უნდა მიეწოდოს მონაცემთა სუბიექტს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვებამდე:

- ორგანიზაციისა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა;
- მონაცემთა დამუშავების მიზანი/მიზნები;
- დამუშავების რა ოპერაციები განხორციელდება მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით;
- მონაცემთა სუბიექტისთვის მინიჭებული თანხმობის გამოხმობის უფლების არსებობის შესახებ. აგრეთვე, მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს, თუ რა ფორმით განხორციელდება თანხმობის გამოხმობა.

შაბლონი თანხმობის ნამდვილობის შესამოწმებლად

მაგალითი	დიახ	არა
არის თუ არა ალბათობა იმისა, რომ მონაცემთა სუბიექტმა თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა არ განაცხადა?[26]		
შესაძლებელია თუ არა, რომ მონაცემთა სუბიექტი ვერ იაზრებდეს, გამოხატა თუ არა თანხმობა თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე?		
შეუძლია თუ არა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დოკუმენტით დაადასტუროს მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მოპოვების ფაქტი?		

[26] გაერთიანებული სამეფოს საზედამხედველო ორგანოს (“ICO”) სახელმძღვანელო რეკომენდაცია თანხმობის ნამდვილობის შემოწმების შესახებ, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/lawful-basis/consent/what-is-valid-consent/>, [10.02.2024].

რამდენად არის თანხმობა მოპოვებული მონაცემთა სუბიექტის თავისუფალი ნების საფუძველზე?		
თანხმობაზე უარი მოუტანს თუ არა ნეგატიურ შედეგს მონაცემთა სუბიექტს?		
დარღვეულია თუ არა ძალთა ბალანსი მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის?		
მომსახურების მისაღებად მონაცემთა დამუშავებაზე დათანხმება სავალდებულოა, თუმცა აღნიშნული მომსახურების გაწევა შესაძლებელია მონაცემთა დამუშავების გარეშეც.		
მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის საკითხი მომსახურების სხვა წესებსა და პირობებთან ერთადაა წარმოდგენილი.		

თახმობის შესახებ მოთხოვნა ბუნდოვანი ან გაურკვეველია.		
თანხმობის მოსაპოვებლად გამოყენებულია თუ არა უკვე მონიშნული სიმბოლო („pre-ticked opt-in boxes“) ან სხვა საშუალება, რომელთა მეშვეობით მიიჩნევა, რომ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა უკვე გამოხატულია?		
მონაცემთა სუბიექტს აქვს თუ არა ინფორმაცია ორგანიზაციის სახელწოდებასთან დაკავშირებით თანხმობის მოპოვების პროცესში?		
აწვდის თუ არა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობის უფლების არსებობის შესახებ ინფორმაციას?		
არის თუ არა მარტივი თანხმობის გამოხმობის პროცედურა?		

შეიცვალა თუ არა მონაცემთა დამუშავების მიზნები და ოპერაციები, რასთან დაკავშირებითაც მონაცემთა სუბიექტმა თავდაპირველად თანხმობა განაცხადა?		

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2025

ნატო ვაჩნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

(+995 32) 242 1000

office@pdps.ge